ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ იურიკ უნანიანს

ასლი: საქართველოს მთავრობას

ასლი: სახელმწიფო რწმუნებულს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში
ბატონ ბესიკ ამირანაშვილს

რეკომენდაცია

ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღის ქართულენოვან სექტორში არსებული არასათანადო პირობების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო იურიკ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღში არსებული მდგომარეობა. საქმისწარმოების და განხორციელებული მონიტორინგის შედეგად[1] გამოიკვეთა, რომ ქართულენოვან ჯგუფში არსებული მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია და ვერ პასუხობს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“ მოთხოვნებს.

ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღში სულ ირიცხება 230 მოსწავლე. ჯგუფები განაწილებულია შემდეგნაირად: 4 სომხურენოვანი, ერთი რუსულ-სომხური და ერთი ქართულენოვანი. სომხურენოვანი ჯგუფები განაწილებულია ასაკის მიხედვით; ქართულენოვან ერთ ჯგუფში ირიცხება ყველა ასაკის ბავშვი, 3-დან 6 წლამდე, ჯამში 37 აღსაზრდელი.

მონიტორინგის შედეგად, ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გამოიკვეთა, რომ ქართულენოვანი ჯგუფის ყველა აღსაზრდელი განთავსებულია ერთ მცირე ზომის ოთახში, მათი ასაკის მიუხედავად. ჯგუფი არ არის დაყოფილი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით და შესაბამისად, 3-დან 6 წლამდე ასაკის ყველა მცირეწლოვანი ერთადაა განთავსებული, რაც უხეშად არღვევს

[1] პირველი მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2017 წელს, ხოლო მეორე - 2019 წლის მარტში

კანონმდებლობის მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

ზემოაღნიშნულს განსაკუთრებით ამძიმებს ჯგუფში შექმნილი უკიდურესად მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშვების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას. აღნიშნულ ჯგუფს დაახლოებით 15 წელია რემონტი არ ჩატარებია ამავე საბავშვო-ბაღის პირველ სართულზე არსებული ჯგუფებისგან განსხვავებით, სადაც 4-5 წლის წინ განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შედეგად, აღსაზრდელებისთვის შექმნილია დამაკმაყოფილებელი პირობები; ქართულენოვანი ჯგუფის ჭერის ერთ ნაწილში ჩამოდის წყალი, რის გამოც ჭერი მთლიანად გაშავებულია; ხის იატაკი ძველი და სარემონტოა; მოძველებულია ნიჟარაც, სადაც ირეცხება ბავშვების ჭურჭელი.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა საპირფარეშოში, რომელიც შედგება ორი პატარა ოთახისგან. არ არის გათბობა; არ არის ცხელი წყალი - ბავშვები ხელ–პირს ცივი წყლით იბანენ. საპირფარეშოში ბავშვებისთვის ორი უნიტაზია განთავსებული, ერთ-ერთი 4-5 წლის წინ გაუქმდა და მას შემდეგ არ შეკეთებულა; ბიჭებიც და გოგონებიც სარგებლობენ ერთი საერთო უნიტაზით, რომლის რბილი დასაჯდომი დახეულია; ბავშვებს ხშირად უწევთ ტუალეტში რიგში დგომა, რის გამოც ზოგიერთ მათგანს უწევს მოთმენა, რაც საფრთხის შემცველია მცირეწლოვნების ჯანმრთელობისა და სწორი ჩვევების ჩამოყალიბებისთვის; საპირფარეშოს ოთახში, სადაც უნიტაზებია განთავსებული, წლებია არ არის ელექტრო ენერგია, რის გამოც ბავშვებს საპირფარეშოში შესვლის შიში აქვთ.

ქართულენოვან ჯგუფში, ინფრასტრუქტურული პრობლემების გარდა, გამოიკვეთა სკოლამდელი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის კუთხით არსებული ხარვეზებიც. ჯგუფში სულ რამდენიმე ქართულენოვანი სახელმძღვანელოა, რომელიც თავად აღმზრდელებმა და მშობლებმა შეიძინეს, რადგან ჩვენი ინფორმაციით, საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება მათ სახელმძღვანელოებს არ აწვდის.

პრობლემურია აღმზრდელების მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და მათი გადამზადების საკითხიც. ჯგუფში ფაქტიურად არ არის ასაკის შესაბამისი სათამაშოები, გასართობი და შემეცნებითი ნივთები. სააღმზრდელო ოთახში პატარა სარკმელების გარდა არ იღება ფანჯრები. შესაბამისად, ოთახი სათანადოდ არ ნიავდება; ძველი და ამორტიზებულია ჯგუფში არსებული ავეჯი, განსაკუთრებით, ბავშვებისა და აღმზრდელების მაგიდები, სკამები, ჭურჭლის კარადები; აღსანიშნავია, რომ ჭურჭელი, რომელიც ასევე ძველია, ნაცვლად იმისა, რომ მიეღოთ საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებისგან, მშობლებმა თავად შეიძინეს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩვენი ინფორმაციით, მუდმივად იზრდება ქართულენოვან ჯგუფში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი, მათ შორის, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მხრიდანაც - მშობლებს სურთ, სკოლამდელი ასაკიდანვე შეასწავლონ შვილებს სახელმწიფო ენა, რაც მათი განვითარების, შემდგომი განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზებისა და სოციალური ინტეგრაციის წინაპირობას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნის

დაკმაყოფილება ვერ ხორციელდება ქართულ ჯგუფში არასაკმარისი ადგილებისა და იქ არსებული კრიტიკული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ქართულენოვანი ჯგუფის გარდა, ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღში გამოიკვეთა ისეთი ზოგადი პრობლემებიც, როგორიც არის ბაღის მეორე სართულზე მდებარე დარბაზის უკიდურესად მძიმე ინფრასტრუქტურული პირობები, სადაც ჭერი ავარიულია, ხოლო იატაკი ერთ ადგილას ჩავარდნილია. აღნიშნული მცირეწლოვანთათვის საფრთხის შემცველ გარემოს ქმნის - ამ დარბაზში ეწყობა ღონისძიებები არასრულწლოვნების მონაწილეობით.

პრობლემა გამოიკვეთა, აგრეთვე, სამედიცინო ნაწილის სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფის კუთხითაც.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის წერილის[2] საპასუხოდ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერისგან[3] გვეცნობა, რომ რადგანაც ქალაქ ახალქალაქში მოსახლეობის მხრიდან ქართულენოვანი ჯგუფის გახსნაზე მომართვა არ იყო, ახალქალაქის №2 და №3 საბავშვო ბაღებში გარემონტდა და გაიხსნა დამატებით ექვსი ახალი სომხურენოვანი ჯგუფი, სადაც ადგილების სიმცირის გამო თითოეულ ჯგუფში ირიცხება 30-40 ბავშვი. ამავე წერილში მითითებული იყო, რომ ქართულენოვან ჯგუფში პრობლემის აღმოსაფხვრელად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს შესაბამის ზომებს.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღის ქართულენოვან ჯგუფში არსებული მძიმე მდგომარეობა წლების განმავლობაში არ შეცვლილა, ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და საფრთხეს უქმნის აღსაზრდელებს.

სამართლებრივი რეგულირება:

საქართველოს კონსტიტუციის 27–ე მუხლით დაცულია განათლების უფლება. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კონვენციის 28–ე მუხლით გარანტირებულია არასრულწლოვნის განათლების უფლება, ხოლო ამავე კონვენციის მე–4 მუხლით კი განსაზღვრულია მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება მიმართონ ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რათა განახორციელონ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებები.

---

[2] წერილობითი კორესპონდენცია N 10-3/6714; 11/05/2018

[3] წერილობითი კორესპონდენცია N 2792/13; 30/05/2018

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2000 წლის 28 ივნისის ,,დასკვნითი შენიშვნები საქართველოში ბავშვის უფლებების შესახებ'' 52-ე პუნქტსა და 2008 წლის 23 ივნისის ,,დასკვნითი შენიშვნები''-ის 57-ე პუნქტის «ე» ქვეპუნქტში გაიწერა კომიტეტის რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებით.

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ", მე–10 მუხლის თანახმად, ადგენს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და მომსახურების მიწოდება. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად კი სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი მომსახურების დანერგვის მიზნით აქვთ სათანადო პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნული მიზნით, მოცემული მუხლის მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტებს აქვთ ვალდებულება შეისწავლონ მუნიციპალური საჭიროებები, დაგეგმონ ადგილობრივი რესურსები და განსაზღვრონ საბიუჯეტო სახსრები. **ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ვალდებულება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში, ხოლო მე-10 მუხლით კი მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება. ამასთან, მე-5 მუხლის თანახმად, დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული. შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს შესთავაზოს შესაბამისი პროგრამები როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე.**

მნიშვნელოვანია, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მე–20 მუხლით განსაზღვრულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების შემადგენლობა. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია ჩამოაყალიბოს ჯგუფები ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, დაწესებულებას აქვს უფლება მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი, მაგრამ არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობისა. ამავე კანონის 22–ე მუხლით კი განსაზღვრულია ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიხედვითაც, 3 წლის ზემოთ ერთ ასაკობრივ ჯგუფში მაქსიმალური რაოდენობა არის 30 ბავშვი. **მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალქალაქის N2 საბავშვო ბაგა–ბაღის ქართულენოვან ჯგუფში არსებული მდგომარეობა ეწინააღმდეგება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მოცემულ მოთხოვნებს.**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N485) დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრავს, რომ სათამაშო, საძინებელ, სამზარეულოს, სამრეცხაოს, თეთრეულის სათავსებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი ორპირი და კუთხური განიავება. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ხელოვნური განათების წყარომ უნდა უზრუნველყოს მთელი შენობის საკმარისი და თანაბარი განათება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი სამზარეულო, სამრეცხაო და ჯგუფის ოთახები, ასევე ბუფეტი და სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ცხელი წყლის მომარაგებით. ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის თანახმად, ავეჯი და სხვა აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებს და ითვალისწინებდეს როგორც ჰიგიენურ, ისე პედაგოგიურ მოთხოვნებს.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მე-15 მუხლით დადგენილია ფიზიკური გარემოს სტანდარტი, რომლის „ა“ პუნქტის თანახმად, გარემო არის უსაფრთხო, კომფორტული, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი ყველასთვის. ამავე სტანდარტით ასევე გარანტირებულია საგანმანათლებლო რესურსისა და ინვენტარის ხელმისაწვდომობაც.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალქალაქის N2 საბავშვო ბაგა–ბაღის ქართულენოვან ჯგუფში არ არის დაცული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებული სკოლამდელი აღზრდის მინიმალური სტანდარტიც კი.

მთავარ პრობლემად იკვეთება ის, რომ აღნიშნულ ჯგუფში ერთად არის განთავსებული სხვადასხვა ასაკის 37 ბავშვი, რაც გარდა იმისა, რომ არღვევს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონით დადგენილ სტანდარტს, ასევე, ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, მათ საუკეთესო ინტერესზე ორიენტირებულ, უსაფრთხო გარემოს და სათანადო პირობებს.

გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ხშირი მომართვის მიუხედავად, აღნიშნულ ჯგუფში, ბავშვების შეზღუდული რაოდენობიდან, რესურსის სიმცირიდან და არასათანადო ფიზიკური გარემოდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ბავშვების ჩარიცხვა, რაც აფერხებს ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების უფლების ხელმისაწვდომობას სახელმწიფო ენაზე. შესაბამისად, არგუმენტი, რომ ახალქალაქის ქართულენოვანი მოსახლეობიდან მომართვა არ ყოფილა, ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან მომართვის მიუხედავად მნიშვნელოვანია პრობლემის პროაქტიულად იდენტიფიცირება და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზებზე მუშაობა. არანაკლებ შემაშფოთებელია ჯგუფში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ რეკომენდაციაში მითითებული პრობლემების აღმოფხვრა, არსებული საბავშვო ბაღის რესურსით წლების განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდა. არსებული პირობები კი საფრთხეს უქმნის აღსაზრდელების განვითარებას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა საკუთარი პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ფარგლებში გამოყოს ყველა აუცილებელი რესურსი, რითაც უზრუნველყოფს ქართულენოვანი ჯგუფის თითოეული აღსაზრდელის უფლებრივი მდგომარეობის/უსაფრთხოების დაცვას და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას სახელმწიფო ენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- დროულად დაიგეგმოს და განისაზღვროს საბიუჯეტო სახსრები ახალქალაქში ქართულენოვანი საბავშვო ბაღის მშენებლობის მიზნით, რითაც დაკმაყოფილდება ქართულენოვან საბავშვო ბაღზე მოსახლეობაში არსებული მოთხოვნა და დაცული იქნება არასრულწლოვანთა უფლება მიიღონ სკოლამდელი განათლება სახელმწიფო სტანდარტების ადეკვატურ პირობებში;
- ქართულენოვანი საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულებამდე, გატარდეს ყველა ქმედითი ღონისძიება, რათა ქართულენოვანი ჯგუფის აღსაზრდელები იმყოფებოდნენ მაქსიმალურად დაცულ პირობებში;
- განხორციელდეს რეაგირება ახალქალაქის N2 საბავშვო ბაღში არსებული ზოგადი ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რაც საერთოა ყველა ჯგუფისთვის და რაც ასევე, ვერ უზრუნველყოფს აღსაზრდელების ინტერესებზე მორგებულ გარემოს.

გთხოვთ, გატარებული ღონისძიების თაობაზე, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,